№ 61
(12 029)
11 – 14 აგვისტო, 2006 წ. ფასი 40 თ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

# იხარე, გულო!..







გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი მოინახულა.

სარბიელის გენერალური რეკონსტრუქცია სრულდება — ორიოდე კვირაში ეროვნული სტადიონი გულშემატკივრების წინაშე სრულიად სახეშეცვლილი წარსდგება.

თითქმის დასრულებულია ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება — სამხრეთი და ჩრდილოეთი ტრიბუნები სრულად ათვისებულია, ხოლო დასავლეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნებზე ქვედა იარუსების სკამების დამონტაჟება სრულდება.

დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა გუნდების გასახდელები და საშხაპეები. სრულდება გასახდელებიდან მინდორზე გასასვლელი გვირაბების სანათებით აღჭურვა.

უახლოეს დღეებში დასრულდება ვიპ-ლოჟების კეთილმოწყობა.

ტრიბუნები ერთმანეთისგან რკინის მესერითაა გაყოფილი. მინდვრის გარშემო სარბენი ბილიკების დაგება რამდენიმე დღეში დაიწყება.



სტადიონის მეპატრონეები პარალელურად დასუფთავებაზეც ზრუნავენ — ყოველდღე რამდენიმე სატვირთო მანქანას გააქვს ძველი ინვენტარის ნარჩენები.

სფფ-ის პრეზიდენტი სტადიონზე ჟურნალისტებსაც გაესაუბრა: „ძალიან კარგია, როცა საქმე წინ მიიწევს — მალე რეკონსტრუირებული სტადიონი გვექნება, რომელიც უეფას მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. მართალია, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ეს არ გვაშინებს — 2 სექტემბრისთვის სარბიელი სრულ მზადყოფნაში იქნება და მჯერა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს ღირსეულად ვუმასპინძლებთ. როგორც კი სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდება, უეფას კომისია გვეწვევა, რომელიც მკაცრი შემოწმების შემდეგ ჩაიბარებს კიდეც სტადიონს" — თქვა ნ. ახალკაცმა.

# კადეტებო, წინ!..



...კადეტ კალათბურთელებს დიდი სპორტული დღესასწაული აქვთ. ზეიმის ცენტრი ტალინია. აქ ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფის გუნდები ჯგუფური ეტაპის შეხვედრებს მართავენ. პირველი მატჩი საქართველოს ნაკრებს მასპინძლებთან ჰქონდათ. შარშანაც ანალოგიურ პირველობაზე ჩვენების მეტოქე ესტონელები იყვნენ. მაშინ შეხვედრა 82:71 ქართველებმა მოიგეს. ახლა რევანშისათვის ესტონელებს საკუთარი კედლების იმედიც ჰქონდათ. მატჩის პირველივე მეოთხედი ჩვენებმა მოიგეს 22:15, მეორედ ფრედ დაამთავრეს — 22:22, ხოლო III და IV მეოთხედები კვლავ თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს — შესაბამისად 23:18 და 23:22. ასე რომ, მწვრთნელ **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა პირველ მატჩში ერთ-ერთი ფავორიტი დამაჯერებლად დაამარცხა — 90:77.

გუშინ კი ჩვენი კადეტების მეტოქე ავსტრიის გუნდი იყო. ეს შეხვედრა ქართველმა ბიჭებმა მოიგეს 62:61. ახლა დარჩენილი ორი შეხვედრიდან ერთის მოგებაა საჭირო ჯგუფიდან გასასვლელად.

# ფრენბურთი კონფლიქტურ ზონაში

რა არის იმისთვის საჭირო, რომ კეთილი საქმე წარმატებით დაგვირგვინდეს? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამისათვის აუცილებელია ორი რამ — მონდომება და მხარდაჭერა. ამ შემთხვევაში, რაზეც ქვემოთ გიამბობთ, ერთიც იყო და მეორეც.

თაოსნობა ფრენბურთის ეროვნული ფედერაციიდან წამოვიდა. მხარდაჭერა საქართველოს პირველმა ლედიმ **სანდრა რულოვსმა** ითავა და საქმეც წარმატებით დაგვირგვინდა.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამ შეიმუშავა პროექტი „ფრენბურთი მშვიდობის სამსახურში", რომლის მიზანია ქართულ-ოსური კონფლიქტურ ზონაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ოსი და ქართველი ახალგაზრდობის დაახლოება და ურთიერთგაგების გაღრმავება. ამ პროექტის შესაბამისად, სოფელ დისევში გაკეთდა საპლაჟო ფრენბურთის ღია მოედანი, რომელიც მთლიანად დააფინანსა ჰოლანდიამ. საგულისხმოა, რომ ეს სპორტული სარბიელი სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

მომავალში, სანდრა რულოვსის თაოსნობით, ანალოგიური აქცია მოეწყობა სოხუმში. ეროვნულ ფედერაციას, როგორც მისმა პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა განაცხადა, დიდი სურვილი აქვს საპლაჟო ფრენბურთში, ამ ულამაზეს შავიზღვისპირა ქალაქში, მსოფლიოს ერთ-ერთი ეტაპის ასპარეზობაც ჩაატაროს.

გუშინ, სოფ. დისევში საზეიმოდ გაიხსნა საპლაჟო ფრენბურთის ახალი სარბიელი. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი სანდრა რულოვსი, ჰოლანდიის ელჩი საქართველოში **ონნო ელდერენბოსხი**, სხვა ოფიციალური პირები და საპატიო სტუმრები.

ახალგახსნილ მოედანზე ჩატარდა საჩვენებელი თამაში.

# პრეზიდენტის საჩუქარი ბავშვებს!

მრავალმხრივი პროგრამა „პრეზიდენტის საჩუქარი ბავშვებს!" წარმატებით ხორციელდება. ამ პროგრამის ნაწილია სისტემატური ექსკურსია ბავშვებისთვის ბორჯომის პარკში. პროგრამის განხორციელება შარშან დაიწყო და 30 ათასმა მოზარდმა მიიღო მასში მონაწილეობა, წლეულს კი კონტინგენტი 200 ათასამდე გაიზარდა.

„მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით იკრიბება ჯგუფები და ორგანიზებულად ჩაჰყავთ ისინი ბორჯომში. ბორჯომში ლიდერები ხვდებიან და ერთ დღეს აქტიურ გართობა-დასვენებაში ატარებენ ბავშვები. გართობა, ტრანსპორტირება, კვება და, საერთოდ, ყველა ხარჯი ჩვენს მიერ ბიუჯეტიდან ფინანსირდება", — გვითხრა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსმა **დავით კასრაძემ.**

დ. კასრაძემ ერთი სიახლეც გაგვანდო — მზადდება ახალი საჩუქარი — „პრეზიდენტის სტიპენდია ბავშვებს!"

# წილისყრაზე მიგვიწვიეს...

**საქართველოს ეროვნული ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ გუშინ გვაცნობა, რომ მიუხედავად ცნობილი პრობლემებისა, ევროპის ფედერაციამ საქართველოს დართო ნება, მონაწილეობა მიიღოს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრაში, რომელიც 19 აგვისტოს გაიმართება ინსბრუკში 20 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის დროს.**

# გაზეთის დაბეჭდვამდე:

## ინგლისის ნაკრებს ტერი უკაპიტნებს

ლონდონის „ჩელსის" მცველი ჯონ ტერი გუშინ ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტნად დაინიშნა. ამის შესახებ ოფიციალურად იტყობინება ამ ქვეყნის საფეხბურთო ასოციაცია. შეგახსენებთ, რომ ჯონ ტერიმ უკანასკნელ შეხვედრებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

## ნედვედი ჯერ არ მიდის

„იუვენტუსის" ნახევარმცველი პაველ ნედვედი კვლავ გამოიძახეს ჩეხეთის ნაკრებში სერბებთან მატჩის წინ. ეს იქნება მისი 91-ე სანაკრებო შეხვედრა. როგორც ჩანს, ნედვედი ჯერ არ აპირებს სანაკრებო კარიერის დასრულებას.

## შუმახერი იმედიანადაა

„ფორმულა-1"-ის გუნდ „ფერარის" პილოტმა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა განაცხადა, რომ წლევანდელი ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა.

„თითოეულ ქულას ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს. ფერნანდოს ათი ქულითლა ჩამოვრჩები. დარწმუნებული ვარ, უახლოეს ეტაპებზე მნიშვნელოვან წინააღმდეგობას გავუწევთ. მე შემიძლია ტიტულის დაბრუნება" — ამბობს მიხაელ შუმახერი.



# ანა დოლონაძე: „ყველა და ყველაფერი უსაშველოდ მენატრება..."



გუშინ, დილაადრიან რამდენიმე ჟურნალისტი დათქმულ დროს მივადექით თბილისში სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშულ დარბაზს. ბატუტზე ხტომაში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი წინა დღით დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ანა დოლონაძე, რომელიც კარგა ხანია გერმანიაში ცხოვრობს, თბილისში სტუმრად იყო და ხუთშაბათ დილით დარბაზში მივიდოდა.

დარბაზში უკვე დაგვხვდა საქართველოს ნაკრების ლიდერი ლუბა გოლოვინა, რომელსაც მამამისი ვლადიმერ გოლოვინი ავარჯიშებდა. თავიანთ შეგირდებთან ერთდროულად მეცადინეობას ატარებდნენ გარიკ გასპარიანი და სერგო მარქარიანი. მომეცადინეთა შორის შევნიშნეთ გუნდურ შეჯიბრებაში ევროპის მესამე პრიზიორები ნანა ლუჭაშვილი და თამარ კაკაშვილი.

...ანა დოლონაძე მარტო არ მოსულა. ეულად არც გერმანიიდან ჩამოსულა, მეგობრებ-მეზობლების მთელი ჯგუფი ჩამოჰყვა სტუმრად.

— 6 წელიწადია, რაც თბილისში არ ვყოფილვარ, უსაშველოდ მომენატრა ყველა და ყველაფერი. წამოსვლა რომ გადავწყვიტე, ერთმა მეზობელმა მიკრო

იხ. გვ-2 გვ.

# „ამერმა" მინიმალური სხვაობით წააგო

## უეფას თასი. II საკვალიფიკაციო რაუნდი

**ჰერტა (გერმანია) — ამერი (საქართველო) 1-0**

ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი) — დომზალე (სლოვენია) 1-2
ცსკა (ბულგარეთი) — ჰაიდუკი (სერბეთი) 0-0
რუზელარე (ბელგია) — ეთნიკოსი (კვიპროსი) 2-1
ბნეი იეჰუდა (ისრაელი) — ლოკომოტივი (ბულგარეთი) 0-2
ტირანა (ალბანეთი) — ქაისერსპორი (თურქეთი) 0-2
არტმედია (სლოვაკეთი) — დინამო (ბელარუსი) 2-1
რიდი (ავსტრია) — სიონი (შვეიცარია) 0-0
ქარვანი (აზერბაიჯანი) — სლავია (ჩეხეთი) 0-2
ჩერნომორეცი (უკრაინა) — ვისლა (პლოცკი, პოლონეთი) 0-0
ზიმბრუ (მოლდოვა) — მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა) 0-0
რუბინი (რუსეთი) — ბატე (ბელარუსი) 3-0
სტარტი (ნორვეგია) — დროგედა (ირლანდია) 1-0
ოდენსე (დანია) — ლანელი (უელსი) 1-0
ბრანი (ნორვეგია) — ატვიდაბერგი (შვედეთი) 3-3

**პირველი მატჩები 10 აგვისტოს გაიმართება, საპასუხო – 24 აგვისტოს.**

# საქართველო სახალისო ფეხბურთის ღია სკოლებმა მოიცვა

2003 წლიდან ამიერკავკასიაში წარმატებულად ხორციელდება კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის (CCPA) პროექტი 7-12 წლის ბავშვებისათვის „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები" (OFFS). ასოციაციის შტაბბინა კოპენჰაგენშია. პროექტი აღიარებულია და ფინანსდება უეფას, ნორვეგიის, დანიის, შვედეთის და ფინეთის მთავრობების მიერ. აქცია არის ჰუმანიტარული, პოლიტიკურად ნეიტრალური და არაორიენტირებული შემოსავალზე. მისი მიზანია გასართობი თამაშების და სახალისო ფეხბურთის პედაგოგიური კონცეფციის საშუალებით ხელი შეუწყოს დემოკრატიის, მშვიდობის, სტაბილურობის, სოციალური ურთიერთობის, მეგობრობისა და სპორტული თანამშრომლობის პროცესის განვითარებას საქართველოში, წარმოაჩინოს მასობრივი ფეხბურთის და „სპორტი — ყველასათვის" პრინციპები.

პროექტი ხორციელდება სტანდარტულ ფეხბურთის მოედანზე, რომელიც დაყოფი

იხ. გვ-3 გვ.



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოსკოვში მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოში ტანვარჯიშის განვითარების გამოჩენილი ორგანიზატორი, საქართველოს და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

ივანე ოგანოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



# დიდებული აღმზრდელი და პიროვნება

გამოსათხოვარი

სულის სიღრმემდე შემძრა მოსკოვიდან მიღებულმა შემაძრწუნებელმა ცნობამ იმის შესახებ, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ადამიანი ივანე ოგანოვი.

მე დავკარგე არა მხოლოდ ჩემი პირადი მწვრთნელი და ჩინებული აღმზრდელი, არამედ ოჯახის დიდი მეგობარი. ბატონი ივანე გულისხმიერებით და ყოველნაირი ადამიანური სიკეთით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ. ამიტომ მიაგებდა მას ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა ღირსეულ პატივს. როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, იგი დიდხანს წარმატებით უძღვებოდა საქართველოში ტანვარჯიშში სასახელო ტრადიციების გაღრმავება-განმტკიცების საპატიო საქმეს.

ი. ოგანოვი თავისი პიროვნული თვისებებისა და პროფესიული მომზადების გამო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აგრეთვე მთელ საბჭოთა კავშირში. ამიტომ იყო, რომ, როცა მოსკოვში ოჯახით გადავიდა საცხოვრებლად, იგი რუსეთის ტანვარჯიშის ფედერაციის გენერალურ მდივნად აირჩიეს, სადაც დიდხანს წარმატებით ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. ამასთან, ერთი დღითაც არ გაუწყვეტია საქართველოს ტანვარჯიშულ ფედერაციასთან მეგობრული ურთიერთობა. ჩვენთვის, ჩვენი ფედერაციისთვის ის იყო დიდი ძალა და იმედი, რითაც რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ლეონიდ არკაევთან, გარკვეულწილად კომპენსირებას ვუწევდით ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე წლებში საქართველოს წამყვანი ტანმოვარჯიშეების შეუფერხებელ მომზადებას.

მადლობელი ვარ, რომ ბედმა ამ პიროვნებას შემახვედრა ჩემი სპორტული კარიერის ყველაზე პასუხსაგებ ეტაპზე და მისი მეშვეობით შევძელი ჩემი შესაძლებლობების სრული დემონსტრირება ოლიმპიურ თამაშებში 1952 წელს.

ი. ოგანოვის ღვაწლს დავიწყება არ უწერია.

მზია ჯუღელი,
1952 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი.

საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ტანვარჯიშში საქართველოს და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონის და პრიზიორის მზია ჯუღელის აღმზრდელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

ივანე ოგანოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

# დუბინას არ გაუმართლა

საქართველოს მძლეოსნებიდან ერთადერთი მონაწილე სამხტომელი **იულია დუბინა** გამოდიოდა გეტებორგში მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენი ოლიმპიელი, რომელიც (დუბინა ათენში ასპარეზობდა 2004 წლის ოლიმპიადაზე) B საკვალიფიკაციო ჯგუფში მოხვდა, მხოლოდ მესამე ცდაზე 12,77 მეტრზე გადახტა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. საბოლოოდ მას 25 მონაწილეს შორის 22-ე ადგილი ხვდა წილად.

„ლელოზე“ ხელმოწერა გრძელდება
3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესს“, „მაცნეს“, „ინფოსერვისს“, „უწყებანს“

სპორტი — ყველასათვის

# «ლომისის» პრიზზე


ადამ ოქრუაშვილი
ფოტო რობერტ ბაგოიანისა

ლითონის კონსტრუქციებისაგან შექმნილი ქართული ჭიდაობის მრგვალი მოედანი დაბა ახალგორის ბაღში ყოველ უქმე დღეებში ეპატიჟება ჩოხიანი ჭიდაობის ქომაგებს.

გასულ უქმეებზე ლუდის მწარმოებელმა კომპანია „ლომისმა“ (ცეზარი ჩოჩელი, ვაჟა გელაშვილი, ნემო ილურიძე) ახალგორის მოედანზე გამართა კომერციული ტურნირი „ლომისის“ პრიზზე. დაწესებული იყო 300, 200 და 100-ლარიანი ფულადი ჯილდოები.

პრიზები გათამაშდა 7 წონით კატეგორიაში. პირველი ადგილები მოიპოვეს: **ოთარ გაიდარაშვილმა (გორი), ანდრია გიუნაშვილმა (ქარელი), ლევან შერმადინმა (ოძისი), ლევან კოჩიევმა (თბილისი), ზურაბ ოდოშაშვილმა (კასპი), იოსებ ჩილინდრიშვილმა (გორი) და გიორგი ბაინდურაშვილმა (მუხრანი).**

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია აბსოლუტურმა პირველობამ, სადაც ყველას აჯობა **ადამ ოქრუაშვილმა** (თბილისი).

ქების ღირსია ახალგორის მესვეურები და პირადად **სურენ ჩიგოევი**, რომელიც ხშირად აწყობს ქსნის უმშვენიერესი ხეობის სოფლებში ქართული ჭიდაობის ზეიმებს.

# ანა დოლონაძე: „ყველა და ყველაფერი უსაშველოდ მენატრება...“

პირველი გვერდიდან

ავტობუსით მგზავრობა შემოგვთავაზა, შევიკრიბეთ ნაცნობ-მეგობრების ჯგუფი და წამოვედით, — ამბობს ანა.

◆ ***6 წლის წინათ თბილისი სხვა იყო, დღეს როგორია?..***

— უფრო სუფთა და ლამაზია. ბევრი სიახლეა, მაგრამ აი, ჩვენს სპორტულ დარბაზში თითქმის არაფერი შეცვლილა. როგორც მითხრეს, გათბობის სისტემა დაუმონტაჟებიათ მხოლოდ. ესეც კარგია.

◆ ***ინვენტარზე რას იტყვით?***

— კარგს ვერაფერს. მე რომ გერმანიაში წავედი და გერმანიის ფედერაციამ საჩუქრად გადმოსცა, ისევ ის ბატუტებია. აღარც ასეთ ლეიბებზე ვარჯიშობენ. თანამედროვე უფრო რბილია და მსუბუქი. მაგრამ, რაც არის ამ დარბაზში, იმასაც არა უშავს.

◆ ***ანა, თქვენ თბილისში დაოსტატდით, საბოლოო მიზანს — ოლიმპიურ ჩემპიონობას კი გერმანიის სახელით მიაღწიეთ. დიდია განსხვავება დაოსტატების ჩვენსა და გერმანიის სისტემებს შორის?***

— ცოტა არ იყოს, შედარება, უფრო სწორი იქნება, ალბათ, ვთქვა, ძირეული განსხვავების დასაბუთება გამიჭირდება. საერთო შთაბეჭდილებით კი გეტყვით, რომ ჩვენთან სპორტსმენთა მომზადების სისტემა უფრო ეფექტურია. სხვა საქმეა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს შესაძლებლობა ხშირად მიავლინოს შეჯიბრებებზე თავისი სპორტსმენები. უცხოელები, მათ შორის გერმანელები, აშკარად გვჯობნიან საშეჯიბრო გამოცდილებით, ეს კი მათი მთავარი კოზირია.

◆ ***უცხოეთში მიღებულია, გამოცდილ სპორტსმენებთან, მით უფრო, ოლიმპიურ ჩემპიონებთან, შეძლებულ ოჯახებს თავიანთი შვილები მიჰყავთ სამეცადინოდ. თქვენც ხომ არ გყავთ შეგირდები?***

— არა. დრო არ მრჩება.

◆ ***შემოთავაზება გქონიათ?***

— უამრავი.

◆ ***დრო არ მაქვსო თქვით, ამდენს ვარჯიშობთ?***

— არა, ვსწავლობ კიდეც.

◆ ***რა სპეციალობას ეუფლებით?***

— ასე კონკრეტულად არ მაქვს სპეციალობა შერჩეული. სწავლება კომპლექსურია სპეციალობების პაკეტით. გააჩნია რას აირჩევ. ეს წესი დასაქმების მეტ შანსს იძლევა.

◆ ***რომელ ქალაქში ცხოვრობთ?***

— ბატკროინახში, რომელიც მაინთან ახლოსაა.

◆ ***სპორტული ქალაქია?***

— კი. ქალაქს უკვე სამი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს. მესამე მე ვარ, მაგრამ პირველი ჩემს სახეობაში.

◆ ***თქვენი კლუბი კერძოა?***

— დიახ. ყოფილ ტანმოვარჯიშეს ეკუთვნის.

◆ ***აქ თუ შეხვდით ჩვენს ბავშვებს, რომლებიც ბატუტზე ხტომაში მეცადინეობენ?***

— შევხვდი, ვესაუბრე და ვივარჯიშე კიდეც მათთან ერთად.

მიხარია, რომ ნიჭიერი თაობა მოდის.

◆ ***ახლა ისვენებთ. წლეულს, როგორც ვიცით, ევროპის მეორე პრიზიორი გახდით ინდივიდუალურ ვარჯიშში, წყვილში — მესამე. კმაყოფილი ხართ?***

— ოლიმპიადის შემდეგ ასეთი შედეგი ურიგო არ არის.

◆ ***მეწყვილე როგორი გყავთ?***

— რუსიკო ხოფერიაზე მაგარი პარტნიორი არასდროს მყოლია.

◆ ***ინტენსიურ წვრთნას როდის შეუდგებით?***

— როგორც კი დავბრუნდები გერმანიაში. ე.ი. ორ დღეში. პარასკევ დილით ადრე მივფრინავ ჩემი 11 წლის შვილთან მარიამთან ერთად.

◆ ***მარიამს თუ სურს გაჰყვეს დედის კვალს...***

— შედარებით პატარა რომ იყო, გულიანად ვარჯიშობდა, ახლა ისე რა, ერთობა.

◆ ***როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?***

— ვიბრძოლებ 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებ.

◆ ***ცხადია, სრული ხელშეწყობა გექნებათ როგორც კლუბში, ისე ნაკრებში. საინტერესოა, როგორ შეხვდნენ თქვენი ქალაქის მკვიდრნი თავიანთ მესამე ოლიმპიურ ჩემპიონს?***

— ოო, ეს იყო ენით აუწერელი ზეიმი, ჩემი დაბრუნება ქალაქში დღესასწაულად იქცა.

◆ ***გისურვებთ 2008 წელსაც გაგეხარებინოთ თქვენი გულშემატკივრები იქ გერმანიაშიც და აქ — საქართველოშიც...***

— დიდი მადლობა!

ესაუბრა
თენგიზ თომაშვილი.


ანა დოლონაძე (მარცხნივ) და ლუბა გოლოვინა
ფოტოები რობერტ ბაგოიანისა


ანა დოლონაძე ახალბედა სპორტსმენთან ერთად

მემკვიდრეობა

# გზა საერთაშორისო სარბიელისკენ


რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ საღარაძე.**

დასანანია, არც ერთი მათგანი, ვისაც ამ წერილში წარმოდგენილ ფოტოზე ხედავთ, აღარ არის ჩვენს შორის, ყველა მათგანი გარდაცვლილია.

დარჩა ლეგენდად ქცეული საუკუნო ხსოვნა ამ შესანიშნავი ვაჟკაცი ბიჭებისა.

სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო. ქვეყანას ჯერ კიდევ ნაომარი ჭრილობები არ ჰქონდა ჯეროვნად მოშუშებული. მიუხედავად ამისა, ქართველი ფალავნები ღირსეულად იდგნენ ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში, ნებისმიერი დიდი ქვეყნის ნაკრებ გუნდებს ტოლს არ დაუდებდნენ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. ეს იყო იმ პერიოდის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი მთელ მსოფლიოში, მაგრამ მაშინ, მოგეხსენებათ, სსრ კავშირს, რომლის ნაკრების შემადგენლობაში უთუოდ დაიკავებდნენ ადგილს ქართველი მოჭიდავეები, არ ჰქონიათ მსოფლიო სარბიელზე გასვლის უფლება.

1945 წელს პირველად ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ლენინგრადში. აქ თავი საქართველოდან ისახელეს: ვასო ილურიძემ, დავით ციმაკურიძემ, ვალარშაკ მაჩკალიანმა, არსენ მეკოკიშვილმა.

ყველა მათგანმა ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული და ადგილი დაიმკვიდრა სსრ კავშირის ნაკრებში.

მინდა ჩვენს მკითხველებს მივაწოდო ცნობა ზოგიერთი მათგანის შესახებ. დავიწყებ იმ თანმიმდევრობით, როგორც ისინი ფოტოზე არიან აღბეჭდილნი.

**ვახტანგ კუხიანიძე** — დაიბადა ქ. თბილისში 1914 წლის 5 იანვარს, გარდაიცვალა 1985 წელს. იყო სსრკ-ის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. 1950-იან წლებში იყო სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ხელმძღვანელობდა სსრკ-ის ბერძნულ-რომაულ და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდებს. მისი აღზრდილები არიან: არსენ მეკოკიშვილი, სერგო გაბარაევი, ნიკოლოზ მუზაშვილი, ვალარშაკ მაჩკალიანი (თავისუფალი ჭიდაობა) და შალვა ჩიხლაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). მინიჭებული ჰქონდა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატისა და დამსახურებული მწვრთნელის წოდებები.

**არსენ მეკოკიშვილი** — ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1952 წ), მსოფლიო ჩემპიონი (1954), სსრ კავშირის 9-გზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში და შვიდგზის ჩემპიონი სამბოში. 1946 წლიდან გამოდიოდა მოსკოვის სახელით.


1945 წ. საქართველოს ნაკრები. მარცხნიდან: ვ. კუხიანიძე (უფრ. მწვრთ.), ა. მეკოკიშვილი, ვ. მაჩკალიანი, დ. ციმაკურიძე, გ. კარტოზია, ი. ბობოხიძე, ვ. ილურიძე, ა. ჭელიძე, ვ. ვეშაგური, პ. იორდანიშვილი (მწვრთ).

**ვალარშაკ მაჩკალიანი** — თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის 4-გზის ჩემპიონი (1945-1948).

**დავით ციმაკურიძე** — საქართველოდან ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი (ჰელსინკი, 1952 წ.), სსრ კავშირის 7-გზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

**გივი კარტოზია** — მელბურნის (1956) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი (1953, 1955, 1958), სსრ კავშირის 4-გზის ჩემპიონი (1952-1955).

**ილია ბობოხიძე** — სსრ კავშირის ჩემპიონი (1946) თავისუფალ ჭიდაობაში. ქუთაისის საჭიდაო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თემურ აფხაზავა, მსოფლიო ჩემპიონი ესტატე გოგლიჩიძე, მრავალგზის პრიზიორი თემურ ხითარიშვილი.

**ვასო ილურიძე** — სსრ კავშირის პირველი ჩემპიონი (1945) თავისუფალ ჭიდაობაში.; სსრ კავშირის მრავალგზის პრიზიორი — სამჯერ (1948, 1951, 1952) ვერცხლის, ოთხჯერ (1947, 1949, 1950, 1954) ბრინჯაოს მედლის მფლობელი და მეორე პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საერთაშორისო სტუდენტთა თამაშების ორგზის (1945, 1952) ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1960-1968). მისი აღზრდილებია მსოფლიოში აღიარებული ფალავნები ვლადიმერ რუბაშვილი, შოთა ლომიძე.

**ანდრია ჭელიძე** — ძირითადად 1946 წლიდან მოღვაწეობდა მოსკოვში, იყო სსრ კავშირის არაერთგზის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, დამსახურებული მწვრთნელი.

**ვალიკო ვეშაგური** — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

**პეტრე იორდანიშვილი** — სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. 1936 წელს პირველმა ჩამოაყალიბა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექცია საქართველოში. მისი აღზრდილები არიან ოლიმპიური, მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონები დავით ციმაკურიძე, ავთანდილ ქორიძე, დავით გვანცელაძე, ვასილ ილურიძე.

ყველა მათგანი თავიანთი ნაღვაწნაამაგარით, გაცისკროვნებული კეთილი და სანდომიანი ღიმილით შემორჩნენ ჩვენს მეხსიერებას. არც მომავალი თაობები დაივიწყებენ დიდ წინაპართა ამაგს.

## ახალი თაობის ფეხბურთელები

# გიორგი ონიანი

**დაიბადა ლაგოდეხში 1983 წლის 23 ნოემბერს. სკოლა დაამთავრა თბილისში. ფეხბურთის თამაში ადრეულ ასაკში დაიწყო. პირველი მწვრთნელი იყო მამამისი. ონიანის სპორტული კარიერა ასეთია: „ლოკომოტივი", „ბათუმი", ამჟამად – „ოლიმპი". მიღწევები: რკინიგზელებთან ერთად 2005 წელს მოიგო საქართველოს ჩემპიონატი. ჰობი – მუსიკა.**

◆ ***გასულ სეზონში „ბათუმში" თამაშობდი. შეასრულა კლუბმა პროგრამა მაქსიმუმი?***

— საერთოდ, ,,ბათუმი'', პირველ წრეში, სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში იყო, მაგრამ შემდეგ წრეში მეორე ადგილზე გავიდა. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ კლუბმა პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა. ჩვენ ერთი მიზანი გვქონდა — წლეულს გვებრძოლა ჩემპიონობისთვის, მაგრამ კლუბი დაიშალა. პრეზიდენტთან ერთად გუნდი დატოვეს ლიდერებმა. ახლა მე ,,ოლიმპში'' ვარ და მისი სახელით ვიბრძოლებ საერთო მიზნის მისაღწევად.

◆ ***ლაშა ნოზაძესთან ერთად „ჰაპოელში" იყავი სინჯებზე, მაგრამ სამშობლოში მალევე დაბრუნდი, რატომ?***

— ,,ჰაპოელს'' ცენტრალური მცველი სჭირდებოდა და მეც მენეჯერმა წამიყვანა. ისრაელში რომ ჩავედი, უკვე ნაყიდი ჰყავდათ არგენტინელი ფეხბურთელი. ფაქტობრივად, ტყუილად გავისარჯეთ.

◆ ***ლაშა?..***

— კლუბმა ისეთი პირობები შესთავაზა, რომ არც ლაშას და არც ,,დინამოს'' ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევდა. ამიტომაც ნოზაძე ისევ ,,დინამოშია''.

◆ ***ახლა „ოლიმპში" თამაშობ. რა არის კლუბის მთავარი მიზანი, რაც თქვენ უკვე ახსენეთ?***

— მინიმუმი — მესამე ადგილი, მაქსიმუმი — ,,ჩემპიონობა''...

◆ ***შეკრებამ როგორ ჩაიარა?***

— საკმაოდ ნაყოფიერად. ამხანაგური მატჩებიც კარგად ვითამაშეთ. შედეგს ეროვნული ჩემპიონატი გვიჩვენებს.

◆ ***როგორი ატმოსფეროა გუნდში?***

— ძალიან მეგობრული და საქმიანი. ზოგ კლუბში კოლექტივთან დაკავშირებით პრობლემებია, ჩვენთან კი არა, რაც, ჩემი აზრით, მისაბაძია.

◆ ***„ოლიმპთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებს?***

— ერთწლიანი, თუმცა, თუ საზღვარგარეთის კარგი გუნდი გამომიჩნდა, წასვლაც შემიძლია.

◆ ***საქართველოს ნაკრებმა ამხანაგური მატჩი უნდა გამართოს გერმანიაში, არ მიგიწვიეს?***

— ახლა ჩვენი გუნდი უკვე გერმანიაშია. მეც მიმიწვიეს, მაგრამ ფეხს ვიტკიებ და ვერ წავედი.

◆ ***როგორ ფიქრობ, მიგიწვევენ ფარერებთან, ფრანგებთან?..***

— არ ვიცი. ეს უკვე მწვრთნელზეა დამოკიდებული. ისიც მნიშვნელოვანია, როგორ ვითამაშებ კლუბში. ვინც დაიმსახურებს, ნაკრებშიც სწორედ ის ითამაშებს.

◆ ***რას იტყვი საქართველოს ნაკრების მეტოქეებზე?***

— იტალიისა და საფრანგეთის ნაკრების დახასიათება სასაცილოდ მეჩვენება. სხვა ეროვნულ გუნდებთან კი მოგება შესაძლებელია.

◆ ***რა აზრისა ხარ ფანკლუბზე?***

— ცუდი აზრის რატომ უნდა ვიყო. ძალიან კარგი თაოსნობაა. სხვა ქვეყნებშიც თუ გაყვებიან ნაკრებს ფანკლუბის წევრები, მაგაზე კარგი არაფერი იქნება.

◆ ***როგორია შენი სამომავლო გეგმები?***

— რაც შეიძლება მაღალ დონეზე თამაში და მეტის მიღწევა...

◆ ***დასასრულ, რაზე ოცნებობ?***

— როგორც ყველა ფეხბურთელი, მეც საუკეთესო გუნდში მოხვედრაზე ვოცნებობ.

ესაუბრა
**ნინო რთველიაშვილი.**

## საშუბრები სპორტის ისტორიაზე

# როგორ ჩაეყარა საფუძველი პროფესიონალიზმს...

**პირველი კვალი,** რომელიც მიგვანიშნებს სპორტის ცივილურ საწყისებზე, მიკვლეულია ძველ მესოპოტამიაში. ესაა მეოთხე ათასწლეული ჩვენს ერამდე. საერთოდ, ძველი მესოპოტამია და მისი მიმდებარე რეგიონებია მიჩნეული კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის აკვნად.

შუმერებმა, რომლებიც ახლანდელი ერაყის სამხრეთ ნაწილში სახლობდნენ,



ნადირობა ლომებზე

შექმნეს დედამიწაზე ყველაზე უძველესი ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც ცივილიზაციის დამახასიათებელი მკაფიოდ გამოხატული ნიშნები გააჩნდა, მათ შორის, ფიზიკურ აღზრდაში. უპირველესად, სამხედრო მომზადება მოითხოვდა ფიზიკური მონაცემების სრულყოფას. მხედრობას საბრძოლო ეტლების გამოგონება-გამოყენება დაემატა. პარალელურად ჩნდება ცხენოსნური თამაშები. სამხედრო მომზადებაში დიდი ყურადღება ეთმობოდა აკრობატიკას.

შუმერების დაარსებულ ქალაქ ბაბილონში, რომელიც მდებარეობდა ევფრატის სანაპიროზე, — ახლანდელი ერაყის ტერიტორიაზე, გარდა იმისა, რაც უკვე დამკვიდრებული იყო შუამდინარეთში, ისწავლებოდა მახვილით ფარიკაობა, აგრეთვე შუბის ტყორცნა. განსაკუთრებით საყურადღებო კი ისაა, რომ იწერება ხამურაბის კანონები, რომლებიც ჩვ. წელთაღრიცხვამდე 1800-1750 წლით თარიღდება და შუამდინარეთის უმნიშვნელოვანესი იურიდიული ძეგლია. სხვათა შორის, სპორტის ისტორიისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ იქმნება ყველაზე უძველესი მეთოდური სახელმძღვანელო ,,საწვრთნო წიგნი'', რომლის ხეთურ ენაზე თარგმანი დღემდეა შემორჩენილი და ჩვ. ერამდე 1360 წლით თარიღდება.

ფიზიკური აღზრდისა და ორგანიზებული სწავლების ნიშნები მკაფიოდ იკვეთება ძველ ირანში. როგორც ადრე ვთქვით, აქ ჩნდება სკოლები, ანუ ე.წ. არისტოკრატული ,,საალმზრდელო სახლები'', სადაც 7-16 წლის ბავშვებს ასწავლიან რბენას, ჭიდაობას, ცხენოსნობას, შუბის ტყორცნას, მშვილდიდან ისრის სროლას... მოგვიანებით ირანში ჩნდება ე.წ. ძალის განვითარების სახლები. აღზრდის ამ კერებმა საუკუნეებს გაუძლეს და ირანში იგი ფუნქციონირებდა თანამედროვე სასკოლო ფიზიკური აღზრდის სისტემის შემოღებამდე. ჭაბუკთა ფიზიკურ მომზადებაში შედიოდა ნადირობა მამაცობაზე გამოცდით, სისწრაფის, სისხარტის, მოხერხებულობის გამომუშავება, შეჯიბრება ცხენით ბურთის თამაშში. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ თამაშის წინამორბედი იყო ,,ბურთის თამაში გაკვრით.'' და ბოლოს, აუცილებელი იყო ინდური წარმომავლობის ჭადრაკის თამაშის დაუფლება, რაც ხელს უწყობდა სტრატეგიული აზროვნების გამომუშავებას.



ძველეგვიპტური თამაში ბურთით

ფენებს. ეს ფაქტი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ფიზიკური ვარჯიშები დიდად პოპულარული იყო, რაც მისი გავრცელების დიდ მასშტაბზე მიგვანიშნებს.

აგრეთვე აღმოჩენილია უძველესი წარწერები, რომლებშიც აღწერილია ბურთით თამაში წყვილთა შორის. მაგრამ ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ არის აღმოცენებული გუნდური გართობა-თამაში. ეს არც წერილობით წყაროებში ჩანს და არც ნახატებში. თანაც, არსად არაა დაფიქსირებული, რომ მოთამაშე იბრძოდეს, ვთქვათ, ბურთისთვის. გადმოცემულია მხოლოდ ბურთის ან მიღება ან მასზე დარტყმა, ამასთან, მოთამაშეები ძირითადად შემოსილნი არიან ქალის ტანსაცმლით. და აი, მივადექით კიდევ ერთ სიახლეს — პროფესიონალიზმის სათავეს. ცხადია, იქ, სადაც დაკანონებული იყო სტუმრების გართობა ვარჯიშებით და ცეკვით, საჭირო გახდებოდა შემსრულებლების მოძიება და მომზადება. ასეთებს, ცხადია, მონათმფლობელები თავიანთ ქვეშევრდომთა შორის მოიძიებდნენ. უდავოა, პრინციპი: ,,ვინ უკეთ'', — მაშინაც ისევე აქტუალური იქნებოდა, როგორც ეს შემდგომში იყო და რჩება დღესაც.

ახლა კი კვლავ ძველ ეგვიპტეში დავბრუნდეთ. დაახლოებით ხუთი საუკუნის დაგვიანებით ეგვიპტეც ცივილიზაციის მესოპოტამიურ გზას დაადგა. სამხრეთ და ჩრდილოეთ ეგვიპტის ტერიტორიაზე აღმოცენდა სახელმწიფო მმართველობის შემცვლელი ხელისუფლება. მეტიც, ჩვენს ერამდე 3000 წლის წინათ, გადმოცემით, მითიურ მეფე მენეს ერთიანი პირველი იმპერიაც კი შეუქმნია. მიკვლეულია აკლდამების ქვებზე გამოხატული სხვადასხვა სამხედრო-გამოყენებითი ფიზიკური ვარჯიშები, მიკვლეულია საკულტო გარბენის ასპარეზობის ამსახველი ნივთმტკიცებაც, საერთოდ, ძველი ეგვიპტის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნახატებსა და სხვა გამოსახულებებში აშკარად იგრძნობა მესოპოტამიისათვის დამახასიათებელი ხელწერა.

ვარჯიშების უკეთ შემსრულებლები, გნებავთ, აკრობატები, აგრეთვე როკვით გამორჩეულნი ის პირველი ადამიანები არიან, ვინც სპორტისა და ხელოვნების პირველ პროფესიონალებად იქცნენ.

შორეული წარსულიდან მოდის აგრეთვე ცურვისა და ნიჩბოსნობის დამკვიდრება. ბუნებრივია, ადამიანი ამ შემთხვევაშიც არსებობის უზრუნველყოფისთვის გზების ძიებამ აიძულა ეცურა კიდეც და წყალზე გადაადგილების სხვა საშუალებაც გამოენახა. რაღა თქმა უნდა, შემდეგ გაფართოვდა ცურვისა და ნაოსნობის ფუნქცია-დანიშნულება, სულ ბოლოს კი, სპორტის სახეობებადაც ჩამოყალიბდა.

გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ საერთოდ, კაცობრიობა სპორტს უნდა უმადლოდეს იმის შენარჩუნებას და განმტკიცებას, რამაც ცივილიზაციის გარკვეულ ეტაპზე ბიოლოგიურ-სოციალური მნიშვნელობა დაკა-



ორთაბრძოლების, რბენის და სხვა თამაშების ნახატები კედელზე(ჩვ. წ-აღმდე 3000 წ.)

ფიზიკური ვარჯიშები ცეკვის პარალელურად სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება, როგორც სასეირო და გასართობი სანახაობა. მკვლევარების გაოცება გამოიწვია ერთ-ერთ უძველეს წერილობით ძეგლში აღმოჩენილმა დაფიქსირებულმა სავალდებულო მოთხოვნამ სტუმრების მიღებასთან დაკავშირებით. საგანგებოდ შემუშავებული წესები სავალდებულოდ მოითხოვს სტუმართა გართობას აკრობატული ვარჯიშებითა და ცეკვებით. ცხადია, წესების დაცვა ეხება მხოლოდ პრივილეგიურ

რგა, მაგრამ კაცობრიობას შემორჩა, როგორც სპორტის სახეობები.

**თენგიზ გაჩეჩილაძე.**

**გაგრძელება იქნება.**

**დასაწყ. „ლელო" №56-დან.**

# მილოცვა

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი, პირადად მისი თავმჯდომარე იროდი ბეჟაშვილი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ვეტერან ფეხბურთელს, თბილისის ,,დინამოს'' ბრწყინვალე მეკარეს **სერგო კოტრიკაძეს.**

# საქართველო სახალისო ფეხბურთის ღია სკოლებმა მოიცვა

**პირველი გვერდიდან**

ლია 12 ნაწილად და თითოეულ კვადრატში 16 ბავშვი (სულ მინდორზე 192 ბავშვი) 12 მწვრთნელის და 12 ასისტენტის დახმარებით, მუსიკის თანხლებით ხალისობენ მცირე თამაშებით და ვარჯიშებით. თამაშები და ვარჯიშები ისეა შედგენილი (თითოეულ კვადრატში სხვადასხვა თემაა), რომ ხუთი დღის განმავლობაში ყოველ მონაწილეს ჰქონდეს მუდმივი წარმატების შეგრძნება. ამ ხნის განმავლობაში ბავშვები სრულად მოივლიან ყველა თორმეტ კვადრატს, იცხოვრებენ ფეხბურთის სამყაროში, მთლიანად კონცენტრირებულნი და დატვირთულნი იქნებიან თამაშით და გართობით.

2006 წლის აგვისტოში სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები ჩატარდება საქართველოს 14 ქალაქის 15 საფეხბურთო სკოლაში, აქედან 2 თბილისშია. სკოლის დამთავრების შემდეგ საფეხბურთო სკოლებს გადაეცემათ 150 ცალი ბურთი, 100 ნიშნული, 100 ფერადი გადასაცმელი მაისური და სხვა ინვენტარი, ხოლო თითოეული მონაწილე ბავშვი მიიღებს საჩუქრად უფეას კეპს, მაისურს, პლასტმასის წყლის ბოთლს, სამაჯურს და დიპლომს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხორციელდება ლიდერებისა და მწვრთნელების (ერთი საფეხბურთო სკოლიდან — 2 ლიდერი და 12 მწვრთნელი) მომზადება სემინარებზე, რომლის ხ ა რ ჯ ე ბ ს (მგზავრობა, კვება, სპორტული ეკიპირება, სახელმძღვანელოები, სერტიფიკატები, ბლოკნოტები, პასტები) უზრუნველყოფს სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების ამიერკავკასიის რეგიონალური ოფისი.



პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია 5 დღის განმავლობაში დილის 9.00 საათიდან 15.00 საათამდე სკოლები უზრუნველყოფილი იქნან სტადიონით, გასახდელებით, მუსიკალური გაფორმებით და ერთჯერადი კვებით (ბუტერბროდი, გამაგრილებელი უალკოჰოლო სასმელები).

სწორედ ეს ღონისძიება ჩატარდა გრ. გაგუას სახელობის საფეხბურთო სკოლა ,,ნორჩ დინამოელში'' 31 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით. მასობრიობამ მოლოდინს გადააჭარბა, ღონისძიებაში მონაწილეობდა 230 ბავშვი. აქციის მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო კომპანია ,,ლომისმა'', რომელმაც 5 დღის განმავლობაში უზრუნველყო ბავშვები ერთჯერადი კვებით და ცივი ლიმონათით, ასევე ლამაზი გასაშლელი ქოლგებით, რომლის ჩრდილშიც ისვენებდნენ და იკვებებოდნენ ბავშვები.

სურათზე თქვენ ხედავთ სახალისო ფეხბურთის ღია სკოლებში მონაწილე ბავშვების ერთ ჯგუფს, რომელიც გაიმართა გრ. გაგუას სახელობის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლაში ,,ნორჩი დინამოელი''.

ფოტოები
**რობერტ ბაგოიანისა.**



# სანაკრებო მარათონი

დაიწყო საფეხბურთო სეზონი და სანაკრებო მატჩების დროც დადგა. ზუსტად ერთ კვირაში საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპების პირველ მატჩებს გამართავენ. **კლაუს ტოპმიოლერის** და **რალფ მინგეს** შეგირდების გზები გაიყოფა. ეროვნული გუნდი ფარერების კუნძულებზე, ახალგაზრდული კი ლიტვაში გაემგზავრება. ორივე ნაკრები 16 აგვისტოს ითამაშებს. ოთხშაბათს, როგორც იქნა გაცხადდა ნაკრებთა შემადგენლობები. სამწუხაროდ, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს ტრავმები მოეძალათ და გუნდი ფარერებზე საკმაოდ შეცვლილი შემადგენლობით წავა. კუნძულზე არ იქნებიან **კახა კალაძე** და **ოთარ მარცვალაძე.** სათუოა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის თამაში. ტრავმები აწუხებთ შოთა არველაძეს, **ოთარ ხიზანეიშვილს** და **ზურაბ ხიზანიშვილს.** ვარჯიში დაიწყო **გიორგი გახოკიძემ,** მაგრამ მისი სათამაშო კონდიციები დღეს, სანაკრებო დონეს ვერ აკმაყოფილებს. ნაკრები უახლოესი რეზერვიდან შეივსო. გუნდში მიიწვიეს **დავით მუჯირი** და **დავით იმედაშვილი.**

**საქართველოს ეროვნული ნაკრები**

**მეკარეები:** გიორგი ლომაია — „ლუჩ ენერგია" (რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია — („ზესტაფონი"); **მცველები:** დავით კვირკველია — „მეტალურგი" (უკრაინა), კახაბერ ალადაშვილი — „დნიპრო" (უკრაინა), ზურაბ ხიზანიშვილი — „ბლექბერნი" (ინგლისი), ლაშა სალუქვაძე — „რუბინი" (რუსეთი), ილია კანდელაკი — „ჩერნომორეცი" (უკრაინა), დავით იმედაშვილი — „დინამო" (უკრაინა); **ნახევარმცველები:** გიორგი გახოკიძე — „ტვენტე" (ჰოლანდია), ლევან კობიაშვილი — „შალკე 04" (გერმანია), მალხაზ ასათიანი — „ლოკომოტივი" (რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი — „შინიკი" (რუსეთი), ჯაბა კანკავა — „არსენალი" (უკრაინა), დავით მუჯირი — „კრილია" (რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი — „პანიონისი" (საბერძნეთი), გოგიტა გოგუა — „სპარტაკ ნალჩიკი" (რუსეთი); **თავდამსხმელები:** ზურაბ იონანიძე — „ზესტაფონი", გიორგი დემეტრაძე — „მეტალურგი" (უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი — „ფრაიბურგი" (გერმანია), შოთა არველაძე — „ალკმაარი" (ჰოლანდია).

**თავისი არჩევანი გააკეთა ახალგაზრდული გუნდის თავკაცმა რალფ მინგემ და ლიტველებთან საპაექროდ ამათ მოუხმო.**

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები**

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი („რუბინი", რუსეთი), რევაზ თევდორაძე („მეტალურგი", უკრაინა); **მცველები:** აკაკი ხუბუტია („კაუნასი", ლიტვა), ზურაბ გვაძაბია („ამერი"), გულვერდ თომაშვილი („დინამო", თბ), გიორგი სეთურიძე („ოლიმპი"), შოთა კაშია („დინამო", თბ), ზაალ ელიავა („სკონტო", ლატვია), გიორგი ნავალოვსკი („დინამო", თბ); **ნახევარმცველები:** გიორგი განუგრავა („ზესტაფონი"), გიორგი მერებაშვილი („დინამო", თბ), მირზა ბჟალავა („ზესტაფონი"), შოთა გრიგალაშვილი („დინამო", თბ), ალექსანდრე კობახიძე („დინამო", თბ), გოგი ფიფია („ზესტაფონი"); **თავდამსხმელები:** ნიკოლოზ გელაშვილი („ვიტ ჯორჯია"), რატი წინამძღვრიშვილი („ამერი"), ბექა გოცირიძე („ზესტაფონი").

**გუშინწინ სფფ-ში გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, ვიცე-პრეზიდენტებმა რევაზ არველაძემ, გიორგი ქავთარაძემ და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა რალფ მინგემ ჟურნალისტებს სანაკრებო თემაზე ეს უამბეს.**

**ნოდარ ახალკაცი, სფფ-ს პრეზიდენტი:**

...დღეს დადგინდა საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ფარერებთან მატჩისთვის მოემზადება. გუნდშია ინგლისის „ბლექბერნის" მცველი ზურაბ ხიზანიშვილიც, რომელიც ტრავმირებულია, მაგრამ ჯერ საბოლოოდ გამორიცხული არაა მისი თამაში.

...ლევან ცქიტიშვილის საკითხიც არაა გადაწყვეტილი. მას საზარდული აწუხებს. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დასრულდება.

...რაც შეეხება მათე ღვინიანიძეს, მას ვერ დავიხმართ, რადგან დისკვალიფიცირებულია.

...მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი პრობლემები დაცვის ხაზში გვაქვს, მაინც იმედიანად ვართ — საქართველოს ნაკრები ამ შეხვედრაში უდავო ფავორიტია. თამაშიც ჩვენს სასარგებლოდ უნდა დავასრულოთ.

...არც ისაა სასიამოვნო, რომ ამჯერად ეროვნულის და ახალგაზრდულის თამაშების თარიღები ერთმანეთს ემთხვევა. სწორედ ამის გამო ვერ ეხმარებიან ახალგაზრდულ ნაკრებს ჯაბა კანკავა და დავით იმედაშვილი — ისინი ეროვნულ გუნდში არიან მიწვეულნი, არადა, ახალგაზრდული გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ.



©Domenic Aquilina, Malta 2006

...ლიტვასთან ახალგაზრდულის თამაშს რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ სტუმრად მოპოვებული ქულაც დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს. ამის მერე სერბებთან შინ გველის თამაში და ჯგუფიდან გასვლის უდავოდ კარგი შანსი გვიჩნდება.

...ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ შეკრება დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გვაქვს დაგეგმილი — ეროვნული გუნდის ძირითადი ნაწილი, მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი თბილისიდან გავემგზავრებით, ლეგიონერები კი იქ შემოგვიერთდებიან. კოპენჰაგენიდან ფარერის კუნძულებზე გამგზავრება 13 აგვისტოს იგეგმება.

...14 აგვისტოს მწვრთნელთა შტაბს ორჯერადი ვარჯიში აქვს დაგეგმილი. 15 აგვისტოს კი გუნდი იმ სტადიონზე ივარჯიშებს, სადაც თამაში გაიმართება. აქვე დავძენ, რომ ჩვენი სასტუმროდან სტადიონამდე 75 წუთის გზაა!

...ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების გარდა უახლოეს ხანში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიც გამართავს საერთაშორისო მატჩებს — მალე გუნდი პალანგის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრება. მოგვიანებით კი საბერძნეთში ოთხთა ტურნირშიც ითამაშებს. **ჰერბერტ ცანკერმა** უდავოდ დიდი სამუშაო გასწია, ამ ეტაპზე მართლაც რომ საუკეთესოებს მოუყარა თავი და იმედია შედეგიც კარგი ექნება. მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია — ამ გუნდში ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონია წარმოდგენილი.

**რალფ მინგე, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი:**

...ჩვენთვის პრიორიტეტული ეროვნული ნაკრებია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ნაკრებთან ერთად გამგზავრება. 16 აგვისტოს კუნძულებზე ვიქნები. ლიტვაში კი ნაკრებს **კობა ჟორჟიკაშვილი** უხელმძღვანელებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაკრები (უხეშად რომ ვთქვათ) ჩემს ხელში ჩამოყალიბდა და ბიჭებთან ძალიან თბილი ურთიერთობა მაქვს, ეროვნულ გუნდთან ჩემი ყოფნა აუცილებელია.

...ჩვენი სამწვრთნელო შტაბის პოლიტიკას განსაზღვრავს ის, რომ დღესდღეობით ზედმიწევნით კარგად ვიცნობთ ფეხბურთელებს, რომლებიც სხვადასხვა ასაკში ასპარეზობენ. ჩვენთვის უკვე პრობლემა აღარაა უფროს ნაკრებებში ვაკანსიების ახალგაზრდა მოთამაშეებით შევსება.

...ფარერის კუნძულებს კლაუს ტოპმიოლერთან ერთად ვსტუმრობდი. ჩვენი მიზანი იყო მაქსიმალური ინფორმაცია მოგვეპოვებინა არა მარტო ამ ნაკრებზე, არამედ ზოგადად ქვეყანაზე. შევისწავლეთ პირობები, რომელიც კუნძულზე დაგვხვდა.

...მეტოქეზე მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება — გუნდი, რომელიც ბოლომდე იბრძვის და მეტოქეს მაქსიმალურად ბევრ პრობლემას უქმნის, მათი მთავარი ღირსებაა ბოლო წამამდე ბრძოლა.




...ეროვნულ ნაკრებს დაცვის ხაზში ნამდვილი პრობლემები გვაქვს. მარტო ის რად ღირს, რომ კახა კალაძე ვერ დაგვეხმარება. მიუხედავად პრობლემებისა, იმედიანად ვართ. საქართველოს ნაკრები ამ შეხვედრაში ფავორიტია და ჩვენ მოედანზე სწორედ ამ განწყობით უნდა გავიდეთ. ამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი შედეგი — მოგება დაგვაკმაყოფილებს!

...რაც შეეხება შოთა არველაძეს, მისი ტრავმა საშიში არ არის და ვიმედოვნებთ, რომ გუნდის დახმარებას შეძლებს.

**გოგი ქავთარაძე, სფფ-ის ვიცეპრეზიდენტი:**

...მსურს ორი საინტერესო ინფორმაცია გაგაცნოთ, რომელიც მჯერა, საქართველოს ნაკრების ქომაგებს დააინტერესებს: შაბათს, 18 საათზე, კინოთეატრ „ამირანში" შედგება საქართველოს ნაკრებზე გადაღებული ფილმის პრემიერა, რომელსაც „ერთი გუნდი" ეწოდება. ამ ფილმის ავტორი **სერგი გვარჯალაძე** და მისი ჯგუფი გახლავთ. ძალიან საინტერესო ფილმია, წარმოაჩენს ეროვნულ გუნდს, ფეხბურთელებს და მჯერა, რომ მისით თქვენც დაინტერესდებით.

რაც შეეხება მეორე ინფორმაციას, ის ფარერი — საქართველოს მატჩს ეხება: დაგეგმილი გვაქვს რესპუბლიკის მოედანზე დიდი ღონისძიება, რათა გულშემატკივრებმა დიდ ეკრანზე შეძლონ ამ მატჩისთვის თვალის დევნება. შეგახსენებთ, რომ ამ თამაშის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია „რუსთავი-2" აწარმოებს.

**სფფ-ს პრესცენტრი**

# ჭაბუკები პალანგაში

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა სომეხ თანატოლებთან ორი სპარინგით დასრულა ქობულეთური მზადების ეტაპი და თბილისში დაბრუნდა. **ჰერბერტ ცანკერი** 17-წლამდელებს ორიოდე დღით დაასვენებს, თვრამეტ საუკეთესოს შეარჩევს და ორშაბათს ლიტვაში გაამგზავრებს. ქართველი ჭაბუკები პალანგის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ასპარეზობა 17 აგვისტოს დაიწყება, 23 აგვისტოს დასრულდება. ტურნირის ორგანიზატორებმა რვა ნაკრები ორ ჯგუფში გაანაწილეს. ჩვენებურები პირველ მატჩს 17 აგვისტოს პოლონელ თანატოლებთან ჩაატარებენ. კენჭისყრის შედეგად ჯგუფური ეტაპის კალენდარი ასე გამოიყურება.

**I ჯგუფი:** ლიტვა, რუსეთი, უკრაინა, ლატვია

**II ჯგუფი:** ბელარუსი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, საქართველო.

**აქვე მატჩების განრიგსაც შემოგთავაზებთ:**

**17 აგვისტო**

ბელარუსი — აზერბაიჯანი

**პოლონეთი — საქართველო**

რუსეთი — ლატვია

ლიტვა — უკრაინა

**18 აგვისტო**

**საქართველო — ბელარუსი**

პოლონეთი — აზერბაიჯანი

რუსეთი — უკრაინა

ლატვია — ლიტვა

**20 აგვისტო**

ბელარუსი — პოლონეთი

**აზერბაიჯანი — საქართველო**

უკრაინა — ლატვია

ლიტვა — რუსეთი.

**22-23 აგვისტოს საპრიზო ადგილები გათამაშდება.**

**გუშინ ქართველი და სომეხი ჭაბუკების მეორე ამხანაგური მატჩი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით, ანგარიშით 1-0.**

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია

სახელი: ..........

გვარი: ..........

დაბადების თარიღი: ..........

ტელეფონი: ..........

ელ-ფოსტა: ..........

სარბიელი
საინფორმაციო მხარდამჭერი
ოლიმპი
ლნ
სპორტი
11×11
24 საათი

## საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბში გაწევრიანების მსურველთა საყურადღებოდ!

2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფანკლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფანკლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW. GFF. GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის" ფილიალებში.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.**

## დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი

**მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები**

**10 აგვისტო**

ზესტაფონი — გურია (ლანჩხუთი) 5-0

ტორპედო (ქუთაისი) — მეშახტე (ტყიბული) 2-0

ჩიხურა (საჩხერე) — სამტრედია 4-0

ბორჯომი — მერცხალი (ოზურგეთი) 4-0

დილა (გორი) — მეშაქრე (აგარა) 0-4

სპარტაკი (თბილისი) — ზოოვეტი (თბილისი) 3-1

კახეთი (თელავი) — ამირანი (თბილისი) 3-1

ლოკომოტივი (თბილისი) — ნორჩი დინამოელი (თბილისი) 2-2

გაგრა — მესხეთი (ახალციხე) 2-1

ოლიმპი (რუსთავი) — მალაროელი (ჭიათურა) 5-1

მერანი (თბილისი) — ლიახვი (თამარაშენი) 2-1

**11 აგვისტო**

დინამო (ბათუმი) — მგლები (ზუგდიდი)



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონთა ლიგა



გაიმართა უეფას ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრები. რუსეთის არმიის სპორტული კლუბის გუნდმა საკუთარ მოედანზე უგოლოდ დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ სამი უპასუხო ბურთი გაიტანა სლოვაკური „რუჟემბეროკის“ კარში. თავი გამოიჩინეს: ოლიჩმა (ორჯერ) და ვაგნერმა.

კიევის დინამოელებმა ალმავლობით ითამაშეს თურქული „ფენერბაჩეს“ წინააღმდეგ. ანგარიში უკვე პირველივე წუთზე გახსნა რინკონმა. მართალია, მეორე ნახევრის დასაწყისში აურელიომ აღადგინა წონასწორობა, მაგრამ დარჩენილ დროში ისევ რინკონმა და იუსუფმა ორი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

**ამ შეხვედრაში კიევის „დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო:** შოვკოვსკი, მარკოვიჩი, საბრიჩი, როდრიგო, ვადური, გუსევი (ბერკევიჩი, 80),



იუსუფი, კორია, რინკონი, რებროვი (მილევსკი, 62), შაცკიხი. დინამოელ ორ ქართველს იმედაშვილსა და მარცვალაძეს არ უთამაშია. საქმე ისაა, რომ ამ უკანასკნელს ტრავმა აწუხებს, ხოლო იმედაშვილი, საერთოდ არ შეუყვანია „დინამოს“ ხელმძღვანელობას განაცხადში.

კიდევ ერთმა უკრაინულმა გუნდმა დონეცკის „შახტიორმა“ ითამაშა წარმატებით — პოლონეთის „ლეგიას“ სძლია მინიმალური ანგარიშით 1-0. ეს ერთადერთი ბურთი შეხვედრის 39-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა ლუმერმა.

მაკედონიური „რაბოტნიჩკი“ მესამოცე წუთამდე უძლებდა საფრანგეთის „ლილის“ შეტევებს. სწორედ შეხვედრის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე სტოიანოვსკიმ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. 70-ე წუთზე ფერნანდესმა ზუსტად შეასრულა „რაბოტნიჩკის“ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი, რასაც ორ წუთში ფოვერგის მესამე ბურთი მიჰყვა.

**„ლილი“:** სილვა, ლიხშტაინერი (შალმი, 46), პრესტამი, შიმიტცი, ტაფორო, კაბაიე, მაკუნი, ფერნანდესი, ფოვერგი, ვიკა (მირალასი, 76), იულა (ოდემვინგი, 52).

თურქულმა „გალათასარაიმ“ საკუთარ მოედანზე 5-2 დაამარცხა ჩეხური „მლადა“.

ალმავლობით ითამაშა ბულგარეთის საფეხბურთო კლუბმა „ლევსკიმ“ იტალიური „კიევოს“ წინააღმდეგ. მერვე წუთზე ანგარიში დომოვჩიისკიმ გახსნა. შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ბარდონმა მეორე ბურთი გაიტანა „კიევოს“ კარში. თუ „ლევსკიმ“ 2 შეხვედრის ჯამში გამოთიშა ჩემპიონთა ლიგას „კიევო“, იქნება პირველი ბულგარული გუნდი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გააღწია.

უინტერესო გამოდგა ჩეხეთის „ლიბერეცისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრა. 90-მა წუთმა ისე განვლო, რომ ვერც ერთი გუნდის ფეხბურთელებმა ბურთის გატანა ვერ მოახერხეს. დიდი ინტერესი გამოიწვია გერმანული „ჰამბურგისა“ და ესპანური „ოსასუნას“ შეხვედრამ. სპეციალისტები უპირატესობას გერმანელებს ანიჭებდნენ, მით უმეტეს, რომ „ჰამბურგი“ საკუთარ კედლებში თამაშობდა. ორივე გუნდს უხვად ჰქონდა საგოლე მომენტები, თუმცა, საბოლოოდ ნულოვანი ფრე დაფიქსირდა — 0-0.

**„ჰამბურგი“:** კირშტაინი, მაჰდავიკა, რაინჰარდტი, კომპანი, დემელი, დე იონგი, იაროლიმი, ტროხოვსკი (ლაუტი, 74), ვან დერ ვაარტი, გერერო, სანოგო.

**ოსასუნა:** რიკარდო, ხავიერ ფლანო, კუელიარი, ხოსეჩო, მონრეალი, დავიდ ლოპესი, პუნიალი, რაულ გარსია, დელპორტე (რიკარდო ლოპესი, 70), სოლდადო (რომეო, 79), მილოშევიჩი (ნექუნამი, 90).

ჰოლანდიურმა „აიაქსმა“ სტუმრად 2-1 სძლია დანიურ „კოპენჰაგენს“. ანგარიში 38-ე წუთზე გახსნა ჰუნტელაარმა. მართალია, ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა, მაგრამ მეორე ნახევარში ისევ ჰუნტელაარმა გამოიჩინა თავი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

დრამატულად წარიმართა ბელგიის „სტანდარდისა“ და რუმინეთის „სტიაუას“ შეხვედრა. თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ პარასკივის გოლის წყალობით. მე-18 წუთზე რაპაიჩმა წონასწორობა აღადგინა. მანვე მეორე ტაიმის დასაწყისში დააწინაურა „სტანდარდი“, მაგრამ ბელგიელებს გამარჯვებამდე ცხრა წუთი დააკლდათ. 81-ე წუთზე მარინმა გაათანაბრა ანგარიში.

ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაერთო კახი კალაძის „მილანი“, რომელიც მინიმალური ანგარიშით — 1-0 მოგებას დასჯერდა სერბიულ „ცრვენა ზვეზდასთან“. ეს ერთადერთი ბურთი მეტოქის კარში ფილიპო ინძაგიმ გაიტანა.

**„მილანი“:** დიდა, კაფუ (ფავალი, 79), შიმიჩი, კოსტა კურტა, სერჟინიო, გატუზო, პირლო (გურკუფი, 81), ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო (ამბროზინი, 72), ინძაგი.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა ავსტრიული „ზალცბურგისა“ და ესპანური „ვალენსიას“ შეხვედრა. ავსტრიელმა ფეხბურთელებმა მინიმალური ანგარიშით მოახერხეს მრისხანე მეტოქის დამარცხება — 1-0. ბურთი პიტაკიმ გაიტანა 73-ე წუთზე.

**„ვალენსია“:** კანისარესი, კურო ტორესი, მორეტი, ნავარო, ალბელდა, ალბიოლი, ბარახა, ვინსენტე (სილვა, 74), ანგულო, მორიენტესი, რეგეირო (ვილია, 72).

შოტლანდიური „ჰართსი“ საკუთარ მოედანზე 1-2 დამარცხდა ბერძნულ აეკ-თან.

ასეთივე ანგარიშით ინგლისის „ლივერპულმა“ შეძლო ისრაელის „მაკაბის“ დამარცხება. საინტერესოა, რომ 88-ე წუთამდე ანგარიში 1-1 იყო და სწორედ ბოლო წუთებზე გონსალესმა მოახერხა გამარჯვების მოტანა „ლივერპულისათვის“.

**„ლივერპული“:** რეინა, კარაგერი, ფინენი, ჰიუიპია, რიისე, ჩაბი ალონსო, ჯერარდი (გონსალესი, 75), სისოკო, ზენდენი (ლუის გარსია, 55), ბელამი (კრაუჩი, 65).



## ანდრეი შევჩენკო ინგლისურს სწავლობს

ცნობილია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებული ასპარეზობისათვის ლონდონის „ჩელსიმ“ შეიძინა უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო. გასულ წელს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში ლონდონელებმა მხოლოდ 9 ბურთი გაიტანეს რვა შეხვედრაში. ახლა აბრამოვიჩის გუნდის მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაა.

„ევროპაში ბევრი ძლიერი გუნდია, რომლის შემადგენლობაში მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები თამაშობენ, თუმცა, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ „ჩელსის“ ძალუძს ჩემპიონთა ლიგის მოგება“ — განაცხადა ანდრეი შევჩენკომ. ჟოზე მოურინიო იმედოვნებს, რომ ამ სეზონში უკრაინელი ფორვარდი შედეგიანად ითამაშებს და დაეხმარება გუნდს წარმატებების მიღწევაში.



„შევჩენკოს კარგად ვიცნობ, როგორც მოთამაშეს. მას ყოველთვის შეუძლია გოლის გატანა. დარწმუნებული ვარ, ტრადიციას არც ამჯერად უღალატებს“. ეს სიტყვები მოურინიოს ეკუთვნის.

ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე შევჩენკომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ინგლისში გადასვლა მეტად მნიშვნელოვანია თავისი ოჯახისათვის. ანდრეის მიზანი ახლა ინგლისური ენის შესწავლაა. „ფეხბურთი ფეხბურთია, მაგრამ პირადი გეგმა მაქვს. უნდა ვისწავლო ინგლისური და ადაპტაცია გავიარო ახალ გუნდში“ — თქვა შევჩენკომ.

## 42 მილიონი ადრიანოსათვის

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ მზად არის 42 მილიონი ფუნტი გადაიხადოს მილანის „ინტერის“ 24 წლის თავდამსხმელ ადრიანოში. მასში რუუდ ვან ნისტელროის შემცვლელს ხედავენ. შეგახსენებთ, რომ ნისტელროოი ამ ცოტა ხნის წინ გადავიდა მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში. „ინტერს“ აქამდე არ შეეძლო ბრაზილიელთან განშორება. მილანური კლუბი ადრიანოს გაყიდიდა იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის სახით შეიძენდა „ფიორენტინას“ სნაიპერს ლუკა ტონის. შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს, ვინაიდან გუშინ „ინტერმა“ მიაღწია შეთანხმებას „იუვენტუსთან“, რომლის შედეგადაც ზლატან იბრაჰიმოვიჩი ამიერიდან „ინტერში“ ითამაშებს. ეს ფეხბურთელი გუნდს 24,8 მილიონი ევრო დაუჯდა. ახლა უკვე გაიზარდა შანსი იმისა, რომ ადრიანო გადავიდეს „მანჩესტერ იუნაიტედში“.

## გალასი კვირაში 90 ათას ევროს ითხოვს

ლონდონის „ჩელსის“ მცველი უილიამ გალასი ცდილობს ახალი კონტრაქტით გაზრდილი ანაზღაურება მიიღოს. მისი სურვილი კვირაში 90 ათასი ევროა. აბრამოვიჩი მზად არის 75 ათასი ევრო გადაუხადოს (ამჟამად გალასი 35 ათასს ღებულობს), მაგრამ ფეხბურთელი თვლის, ის უფრო მეტად სჭირდება გუნდს, ვიდრე ჯონ ტერი და ფრენკ ლემპარდი.

როგორც ჩანს, გალასის ასეთმა ულტიმატუმმა გაანაწყენა ჟოზე მოურინიო. ის აპირებს ფეხბურთელის გადაყვანას დუბლშემადგენლობაში, შემდეგ მის გაშვებას გუნდიდან მომავალი წლის ზაფხულში.

## „ბარსელონა“ მექსიკელებთან წაგებას გადაურჩა

გუშინ ამერიკაში ჩასულმა „ბარსელონამ“ ამხანაგური მატჩი გამართა მექსიკურ საფეხბურთო კლუბ „ამერიკასთან“. საინტერესოა, რომ ერთ მომენტში მექსიკელები 4-1 იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ესპანეთის ჩემპიონმა შეძლო შეხვედრის ფრედ დასრულება. „ბარსელონას“ ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს მარკესმა, სავიოლამ, რონალდინიომ და ეტო'ომ.

## იტალიის საფეხბურთო ლიგას ახალი პრეზიდენტი ჰყავს



ცნობილი გახდა იტალიის საფეხბურთო ლიგის ახალი პრეზიდენტის ვინაობა. ეს არის ანტონიო მატარეზე. მან შეცვალა ადრიანო გალიანი, რომელმაც პოსტი დატოვა სერია „ა“-ში გამეფებულ კორუფციულ სკანდალთან დაკავშირებით. არჩევნებში მატარეზემ ხმების ორი მესამედი მიიღო. შეგახსენებთ, რომ ეს პიროვნება უეფას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტია.

## ჯეიმსს „მანჩესტერ სიტიდან“ წასვლა სურს

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ გოლკიპერმა დევიდ ჯეიმსმა თავისი გუნდის დატოვების სურვილი გამოთქვა. ამის მიზეზი თურმე ყოფილა ის, რომ 36 წლის ფეხბურთელის საცოლე ინგლისის სამხრეთით ცხოვრობს და ჯეიმსსაც გულის სწორთან ახლოს გადაბარგება სურს. ადგილმდებარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გოლკიპერმა კარიერა „პორტსმუთში“ უნდა გააგრძელოს, თუმცა, ამ გუნდს ჯეიმსის შეძენასთან დაკავშირებით არ მიუმართავს „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელობისათვის. დევიდ ჯეიმსი იმედოვნებს, რომ „სიტიდან“ წასვლაში ხელს არ შეუშლიან, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდთან კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უმთავრდება.

## რეიესი მზად არის შეუერთდეს მადრიდის „რეალს“

ლონდონის „არსენალის“ ფორვარდმა ხოსე ანტონიო რეიესმა განაცხადა, რომ მზად არის შეუერთდეს მადრიდის „რეალს“. მოელიან, რომ კლუბები შეთანხმდებიან სატრანსფერო თანხასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ ლონდონური კლუბი 31 მილიონ დოლარს ითხოვს რეიესში. ამ დროს „სამეფო კლუბის“ სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი მზადაა 20,6 მილიონის გადახდისათვის.

## ლიბერტადორესის თასზე

გაიმართა ლიბერტადორესის თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი ბრაზილიურ კლუბებს „სან პაულუსა“ და „ინტერნაციონალეს“ შორის. სტუმრად მოთამაშე „ინტერნაციონალმა“ 2-1 იმარჯვა. ანგარიში 54-ე წუთზე სობისმა გახსნა, 8 წუთში მანვე მეორედ აიღო „სან პაულუს“ კარი. დარჩენილ დროში მასპინძლებმა ერთი საპასუხო ბურთის გატანა მოახერხეს.

## დიარა „რეალში“ თამაშზე ოცნებობს

ფრანგული „ლიონის“ 25 წლის აფრიკელი ნახევარმცველი მაჰამად დიარა ოცნებობს მადრიდის „რეალში“ თამაშზე. ამ კვირაში საფრანგეთში სამეფო კლუბის სპორტული დირექტორის პრედრაგ მიატოვიჩის ვიზიტს ელიან. მოელიან, რომ დიარას სატრანსფერო თანხა 25 მილიონი ევრო იქნება.

## „იუვენტუსიდან“ ბუფონსა და კამორანეზის არ უშვებენ



წამყვანი ფეხბურთელებისაგან დაცლილი ტურინის „იუვენტუსი“ არ აპირებს გოლკიპერ ჯანლუიჯი ბუფონისა და ნახევარმცველ მაურო კამორანეზის გაშვებას.

„ბუფონს გუნდში დარჩენა სურს და მას განზრახვაში ხელი არ შეეშლება, რაც შეეხება კამორანეზის, ის მალე დაბრუნდება არგენტინიდან, სადაც შვებულებას ატარებს. მისი კონტრაქტი „იუვენტუსთან“ კვლავ ძალაშია და ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ის „იუვენტუსის“ შემადგენლობაში დარჩეს“ — განაცხადა „ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტმა კობოლი ჯილიმ.

## ერთი თვე არ ითამაშებს

ფრანგული საფეხბურთო კლუბ პსჟ-ს თანამწვრთნელი ამარა დიამე ერთი თვის განმავლობაში ვერ გამოჩნდება მოედანზე. ამის მიზეზი ტრავმაა. შეგახსენებთ, რომ დიამე ამ ზაფხულს გადავიდა პსჟ-ში.

# ნბა

## ნბა-ს ვარსკვლავს რვა წლის გოგონას გაუპატიურებაში სდებენ ბრალს



ნბა-ს ყოფილი ვარსკვლავი ედი ჯონსონი პოლიციელებმა დააკავეს რვა წლის გოგონას გაუპატიურების ბრალდებით. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, 51 წლის ჯონსონმა შეაღწია მეზობლის სახლში, სადაც მხოლოდ ბავშვები იმყოფებოდნენ. მან რვა წლის გოგონაზე ძალა იხმარა. ეს მოხდა მაშინ, როცა ბავშვების დედა სკოლაში იმყოფებოდა საბუთების გასაფორმებლად. ჯონსონმა გოგონას დაემუქრა, რათა ამ უკანასკნელს არავისთვის ეამბნა მომხდარის შესახებ. მაგრამ მან სკოლიდან მობრუნებულ დედას ყველაფერი მოუყვა. ამ უკანასკნელმა პოლიციას მიმართა და ჯონსონიც დააპატიმრეს.

თვით კალათბურთელი აცხადებს, რომ ის მეზობელთან სტუმრად მივიდა, რათა ბავშვებთან ეთამაშა. ჩვენებაში წერს, რომ მან გოგონას მხოლოდ ლოყაზე აკოცა. ბავშვების მშობელი აცხადებს, რომ ედი ჯონსონი არასდროს დაუპატიჟია სახლში. საქმის გამოძიება გრძელდება. შეგახსენებთ, რომ ჯონსონმა ათი სეზონი გაატარა ნბა-ში — თამაშობდა 1977-87 წლებში „ატლანტას“, „კლივლენდისა“ და „სიეტლის“ შემადგენლობაში. მან ორჯერ მიიღო მონაწილეობა ყველა ვარსკვლავთა მატჩში. თავისი კარიერის განმავლობაში ედი ჯონსონმა ათი ათასზე მეტი ქულა მოაგროვა.

## ვოიტმა გერმანიის ტური მოიგო

დასრულდა მრავალდღიანი ველორბოლა „გერმანიის ტური“. საბოლოოდ პირველი ადგილი გერმანელმა ველომრბოლმა იენს ვოიტმა დაიკავა. მეორეზე გავიდა ამერიკელი ლევი ლეიფერმერი, ხოლო მესამეზე — ყაზახეთის წარმომადგენელი ანდრეი კაშეჩკინი.

## ეკლსტოუნი: შუმახერის წასვლა არ დაეტყობა „ფორმულა-1“-ს

„ფერარის“ ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მიხაელ შუმახერი წელს მოიპოვებს ჩემპიონის წოდებას, ამით დაასრულებს კარიერასაც. „ფორმულა-1“-ის მფლობელი ბერნი ეკლსტოუნი ფიქრობს, რომ მიხაელ შუმახერის წასვლა არ იქონიებს გავლენას ავტორბოლების პოპულარობაზე.

„ასეთი მოლოდინი 1994 წელსაც იყო, როდესაც ავარიაში დაიღუპა ლეგენდარული აირტონ სენა. სენა უფრო პოპულარული იყო მიხაელზე. თუმცა, „ფორმულა-1“-მა გადაიტანა მისი დაკარგვა. ავტორბოლები 1950 წლიდან არსებობს და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს“.

## კვიმატი ობიექტივი




მიხაელ შუმახერი ფეხბურთის დიდი მოყვარულია. ხშირად თამაშობს საქველმოქმედო შეხვედრებში. პილოტი ერთხელ ასეთ ვითარებაშიც დააფიქსირეს (მარცხნიდან პირველი „ფერარის“ პილოტია).




## ჯენსონ ბატონი: „მინდოდა ბრძოლა დიდხანს გაგრძელებულიყო“

ცნობილია, რომ უნგრეთის გრან პრის მოგება იყო პირველი ტიტული „ჰონდას“ პილოტ ჯენსონ ბატონისათვის. ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება მის მიერ „ფორმულა-1“-ის საიტისათვის მიცემული ინტერვიუ.

◆ ***ჯენსონ, რამდენიმე დღის წინ კარიერაში პირველ წარმატებას მიაღწიეთ. მოდით, გაიხსენეთ უნგრული ვოიაჟი.***

— მართლაც, ის დღე, 6 აგვისტო, დაუვიწყარი იყო. ხუმრობა ხომ არ არის, „ფორმულა-1“-ში პირველი რბოლა მოვიგე, თანაც, ცუდი ამინდის პირობებში. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი გუნდის ყველა თანამშრომელს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩემს წარმატებაში. ბოლიდმაც შესანიშნავად იმუშავა.

◆ ***რას გრძნობდით, როდესაც უკანასკნელ წრეს გადიოდით?***

— ენით აუწერელი გრძნობა იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, ბოლო ათ წრეს რომ გავდიოდი, არ მინდოდა, რბოლა მალე დასრულებულიყო. მე ხომ ისეთი პილოტები ჩამოვიტოვე, როგორებიც არიან მიხაელ შუმახერი და ფერნანდო ალონსო. წელს ორივე პრეტენზიას აცხადებს ჩემპიონის ტიტულზე.

◆ ***1993 წელს ინგლისელმა პილოტმა დეიმონ ჰილმა სწორედ უნგრეთში მიაღწია პირველ წარმატებას თავის კარიერაში, შემდეგ კი ორი მომდევნო რბოლაც მოიგო...***

— თუ მსგავსს გავიმეორებ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება.

**თავის მხრივ კომენტარი გააკეთა „ჰონდას“ პრეზიდენტმა ტაკეო ფუკუიმ:**

„ალტაცებული ვარ ბატონის წარმატებული ასპარეზობით. როგორც იქნა, წარმატებას მივაღწიეთ. ჩვენ უკვე შევუდექით მუშაობას იმ მიმართულებით, რომ მომავალშიც მივაღწიოთ მსგავს წარმატებებს“.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**11 აგვისტო, პარასკევი**

EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30). მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი შვედეთში (11.00). პლანეტის უძლიერესი ადამიანები (2.00). EUROSPORT2. ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (17.00). მოტორბოლები. აშშ-ის გრან პრი (19.00). წყალში ხტომები (21.00). მოტოტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.30). კლდიდან წყალში ხტომა (0.00). **„პლანეტა სპორტი“.** აკვაბაიკი (6.00). პირველი ახალგაზრდული სპარტაკიადა (6.55, 13.10). ფეხბურთი. რუსეთის პრემიერლიგა (8.00). ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში (9.50). ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა (11.00). სინქრონული ხტომები (14.05). ფეხბურთი (15.00).

**12 აგვისტო, შაბათი**

EUROSPORT. ექსტრემალური სპორტი (10.30). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.00). მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30). მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (14.00). წყალში ხტომა (20.00). ველოსპორტი. პროტური ესპანეთში (21.45). კრივი (23.00). საბრძოლო ხელოვნება (2.15). EUROSPORT2. ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (17.00). მოტორბოლები. აშშ-ის გრან პრი (19.00). კლდიდან წყალში ხტომა (21.00). მოტოტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.30). **„პლანეტა სპორტი“.** ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში (6.05). ფეხბურთი. რუსეთის პრემიერლიგა (8.00). პირველი ახალგაზრდული სპარტაკიადა (9.45). სპორტის მატიანე. ბასკები საბჭოთა კავშირში (12.35, 19.00). ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა (13.00). პროფესიონალური კრივი (22.35). წყალქვეშა სპორტი (1.35). მოტოტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი (2.35).

**13 აგვისტო, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. იმედი.** სპორტული პროგრამა „ათენიდან ათენამდე“ (11.30). EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30). საპლაჟო ფრენბურთი (11.00). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი აშშ-ში (11.30). მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (12.30). საზაფხულო ბიატლონი. „მსოფლიო ელიტა“ (19.45), კრივი (21.15. ავტოსპორტი (23.30), ჩოგბურთი (1.30). რალი (2.45). EUROSPORT2. ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი ლოს-ანჯელესში (14.45). წყალში ხტომა (15.45). ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი სტოკჰოლმში (17.00). სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის პრიზი (22.30). საპლაჟო ფრენბური. მსოფლიო ტური პოლონეთში (23.00). **„პლანეტა სპორტი“.** ცურვა. საერთაშორისო ტურნირი (6.20). სპორტის მატიანე (8.35). ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა (10.00). მოტოტრიალი (12.00). ფეხბურთი. რუსეთის პრემიერლიგა (13.00). ავტოსპორტი (14.55). საპლაჟო ფრენბურთი (15.20). „სპორტის მატიანე“. ევროპის 1964 წლის თასის გათამაშება (19.00).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. იგივეა, რაც სარმა, 5. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 9. გუნდში გამორჩეული, 10. საფარიკაო იარაღი, 11. ძალოსან ვლასოვის სახელი, 15 კურნიკოვას სახელი, 16. ცნობილი რუმინელი ჩოგბურთელ ნესტასეს სახელი, 17. ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი ხორვატი სამთომეთხილამურე ქალი, 19. ინგლისური სპორტული თამაში ჯოხით და რეზინის ბურთით, 20. სპორტის ორთაბრძოლის სახეობა, 21. ძველბერძნული სპორტის სახეობა (ჭიდაობის და კრივის გაერთიანებით), 24. ბილიარდის ჯოხი, 26. ნბა-ს კლუბი, 28. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1936 წელს, 29. ვლადიკავკაზის საფეხბურთო გუნდი, 31. თურქეთის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. სათაყვანო სპორტსმენი, 2. კოლუმბიელი ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი, 3. სასროლეთი, 4. „სოშოს“ მცველი, სედრიკ ... 5. ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, 6. მოკრივე მუჰამედ ... 7. იაპონელი სამხტომელი, 1928 წ. ოლიმპიური ჩემპიონი, 8. ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა, 12. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 14. ცნობილი ფეხბურთელი, კევინ ... 18. ცნობილი საფეხბურთო მწვრთნელი, მარჩელო ... 20. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მსაჯი, 22. ავტომრბოლ შუმახერის სახელი, 23. საქართველოში ხელბურთის ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი, 24. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 25. ნარნარი ფრენა, 27. პროფესიონალი მოკრივე, 31. კორეელი ვაჟი ჩოგბურთელი, ჰ იუნ-ტაიკ ...



შეადგინა **ნოდარ ჯაჭვაძე.**

## კრამნიკი კომპიუტერს ეთამაშება

**ცნობილი გახდა, რომ 25 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით ბონში მოჭადრაკე ვლადიმირ კრამნიკი ეთამაშება მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს კომპიუტერს „დიპ ფრიცს“. შედეგის მიუხედავად, კრამნიკს გარანტირებული აქვს 500 ათასი დოლარი. თუ იგი გაიმარჯვებს, მაშინ ერთ მილიონ დოლარს მიიღებს.**

## საჭადრაკო ეტიუდი

### „შახმატი - 64“ (1954წ)



თეთრები იგებენ

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ედ8+ 1. ..... მფg7 2. e7 d1ლ+ 3. ე:d1 მფf7 4. ეe1 მფe8 5. a4 ეb3+ 6. მფg2 ეb2 7. მფh1 ეb4 8. a5...

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. მარულა, 7. ფეა, 10. სამორინე, 11. კატო, 12 „არგო“, 16. ნადი, 17. ფაე, 18. ამანათრბენი, 21. ტოკიო, 23. ლიმბეკი, 24. აშვეთია, 26. ტოტი, 27. ფაკეტი, 29. მატეკარი, 31. მური, 32. ეშერა, 33. „მერანი“.

**შვეულად:** 2. ადრიანო, 3. ურო, 4. ასი, 5. ბოისა, 6. რიუ, 7. ფეი, 8. აკინი, 9. დოპინგი, 13. ბაშო. 14. პარაშუტი, 15. რბოლა, 19. ნემსაძე, 20. ბეიე, 21. ტატამი, 22. კატერი, 25. იორლა, 28. ტური, 30. კოე.

## ბაყაყი — კვებეკის გუნდის ემბლემა

კვებეკის საკალათბურთო გუნდს ახალი მეპატრონე გამოუჩნდა, რომელმაც ემბლემად... ბაყაყი შეარჩია. გუნდის სრული სახელწოდებაა „კვებეკ ჯამპინგ ფროგსი“, რაც ქართულად ნიშნავს „კვებეკელ მოხტუნავე ბაყაყებს“. ემბლემაზე ბაყაყთან ერთად გამოსახულია კალათბურთის ბურთი. საინტერესოა, რომ უკანასკნელ წლებში სიტყვა „ბაყაყი“ გამოიყენებოდა კვებეკის ფრანგულად მოლაპარაკე მოსახლეობისთვის შეურაცხყოფის მისაყენებლად.

## თარიღები

**11 აგვისტო**

**1979 წ.** — თბილისის „დინამო“ მეორედ დაეუფლა სსრკ თასს ფეხბურთში.

**12 აგვისტო**

**1904 წ.** — შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ბოტაფოგო“ (რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია).

**13 აგვისტო**

**1950 წ.** — დაიბადა მარიან მასნი (ფეხბურთი — „სლოვანი“. ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია), 1976 წ. ევროპის ჩემპიონი, 1980 წ. ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი, 1982 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. ითამაშა ნაკრებში 75 მატჩი, გაიტანა 18 გოლი.

**14 აგვისტო**

**1949 წ.** დაიბადა მორტენ ოლსენი (ფეხბურთი — „მოლენბეკი“, „ანდერლეჰტი“ ბელგია, „კიოლნი“ გერმანია), 1986 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 1984, 1988 წ.წ. ევროპის ჩემპიონატების მონაწილე, 1983 წ. უეფას თასის მფლობელი. ნაკრებში ჩატარებული აქვს 102 მატჩი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com